საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №45
2024 წლის 18 ივნისი

ქ. თბილისი

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიანი აღრიცხვის, საინფორმაციო ბანკის ფუნქციონირებისა და სააღრიცხვო-ანალიტიკური საქმიანობის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 1 მარტის №271 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიანი აღრიცხვის, საინფორმაციო ბანკის ფუნქციონირებისა და სააღრიცხვო-ანალიტიკური საქმიანობის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 1 მარტის №271 ბრძანებაში (სსმ, №33, 14/03/2006, 020.090.000.22.034.008.228) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე, 45^1, 55-ე, 86-ე, 89^3, 100^1, 100^2, 116-ე, 116^1, 116^3, 121-ე, 121^1, 123-ე, 150-ე, 153^3, 153^6, 155^2, 156-ე, 157-ე, 166-ე, 166^1, 167-ე, 171-ე, 171^3, 172-ე, 173-ე, 173^{15}, 174^1, 174^{15}, 175^2, 177-ე, 177^1, 178-ე, 180-ე, 180^1, 181-ე, 181^1, 181^2, 181^3, 181^4, 181^5, 182-ე, 182^1, 182^2, 183-ე, 197^1, 197^2, 197^3 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევები აქტიური სახით ინახება 8 წლის განმავლობაში, ხოლო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის რომელიმე უფლების 8 წელზე მეტი ვადით შეჩერების/ჩამორთმევის/შეზღუდვის შემთხვევაში – უფლების შეჩერების/ჩამორთმევის/იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის ვადით. აღნიშნული ვადების გასვლის შემდგომ მონაცემები დაარქივებული სახით ინახება 20 წლის ვადით;“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს შინაგან საქმეთა
მინისტრი **ვახტანგ გომელაური**